



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49210854

თარიღი:26/03/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 მარტის 48-4821078113 წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით , პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს დანართი1-ის შესაბამისად (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 26 მარტის №15 განკარგულების
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა
1	2	3	4	
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305	28 ლარი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306	88 ლარი
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307	28 ლარი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308	106 ლარი
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309	142 ლარი
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310	22 ლარი
7	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 80.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.272	160 ლარი